

- ტელუ -

ლ.ქამადმე - ჩემი ხედვები აჭარის ტელევიზიის მიმართ

მედიის (და არა მარტო მედიის) მთავარი არსი არსებობისა არის ობიექტური საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების, დემოკრატიული ფასეულებების დაცვა და ხალხთან მიტანა. იგი უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ინფორმაციულობით მოცულობას ცხოვრების ყველა სფეროს გაშუქებით სხვადასხვა ფორმით და არ იცავდეს ვინმეს შეფუთულ ინტერესებს არ აკონტროლებდეს და მთელი რესურსი მიმართოს ეფექტიანად, რათა დაავაგმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნა. სადაც დარჩება ვაკუუმი, აუთვისებელი სივრცე იქ იბადება არა სასურველი ქვეყნისთვის მიუღებელი ქმედებები, წვეთ-წვეთობით, რომ იჩენს თავს შემდეგში, ამიტომ აჭარის ტელევიზიის და რადიოს მთავარ მისიად მიმაჩნია ემსახუროს ხალხს.

ნებისმიერი ტელევიზიის განვითარების რამდენიმე წინაპირობა არსებობს, უმთავრესი, რა თქმა უნდა, სწორი სტრატეგიის შერჩევა და ასევე სწორი მენეჯმენტია. სტრატეგიის შერჩევისას აუცილებელია ობიექტური რეალობის განსაზღვრა-ასახვა, თუმცა არა სუბიექტური პრობლემების უგულვებელყოფის ხარჯზე, ანუ იგულისხმება,, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა ბერკეტის გამოყენება, რადგან საზოგადოებასთან ინტეგრაციის გარეშე რეიტინგული ტელევიზიის შექმნა უტოპიაა.

იმისათვის, რომ ტელევიზია (საზოგადოებრივი მაუწყებელი) არ ქმნიდეს ბუტაფორიის ეფექტს, აუცილებელია, მისი დეპოლიტიზირება, შესაბამისად ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა მიეცეს საშუალება თანაბარი დროით გამოიყენოს სატელევიზიო ეთერი განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში, ხოლო პროფესიონალი კადრების შერჩევით ასევე ობიექტურად უნდა გაშუქდეს რეალობა.

მართალია აჭარის რადიო-ტელევიზია რეგიონულია, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონულ პრობლემებს, მირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ საკითხებზე, რომლებიც კონკრეტულ კუთხეშია აქტუალური, თუმცა არა სხვა აქტუალური პრობლემების უარყოფის ხარჯზე.

ყველაზე მთავარი ფუნქცია, რაც ჩვენს ეპოქაში ტელევიზიამ დაიკისრა, ესაა სამოქალაქო შეგნების, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ფუნქცია, რაც საკამაოდ რთული პროცესია და ამისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კადრების სწორად შერჩევა და პროფესიონალების მოზიდვაა. მნიშვნელოვანია,, რომ სატელევიზიო გადაცემები გათვალისწინებით იყოს ყველა ასაკის ადამიანზე, ამისათვის კი უნდა ჩატარდეს ობიექტური კვლევა იმ საკითხებისა, ამა თუ იმ სეგმენტის, ყველა ასაკობრივი კატეგორიის მაყურებლისთვისაა საინტერესო და სატელევიზიო ბადის ფორმატიც ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, ვფიქრობ, ამ საკითხების გათვალისწინება დიდწილად განსაზღვრავს არხის სასურველ რეიტინგს. ტელევიზია სისტემატურად უნდა ეყრდნობოდეს სოციუმის შეხედულებების მონიტორინგს და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით უნდა აგებდეს თოქშოუების დომინანტურ თემებს და უნდა აშუქებდეს იმ კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების პოზიციას რომელთა აზრიც და შეხედულებაც სოციუმის მირითადი ნაწილისთვის დომინანტურია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდების მოწყვლად ფენას, აუცილებელია შემეცნებითი გადაცემები, რომელთა უმთავრესი ფუნქცია ინტელექტის განვითარებასთან ერთად ცნობიერების, თვალსაწიერის გაფართოება და სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბება უნდა იყოს.

საჭიროა ოქროს კვეთის მოძიება და დაცვა. რეიტინგზე ზრუნვამ არ უნდა შეიწიროს ისეთი პრობლემები და საკითხები, რომლებიც არააქტუალურად მიიჩნევა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთაგან ძირითადი კომერციული გათვლაა. ტელევიზიამ უნდა შეძლოს მნიშვნელოვანის გამიჯვნა არააქტუალურისაგან და მსოფლიო პრობლემების ფონზე კონკრეტული რეგიონული საკითხების გამოკვეთა და მათი მოგვარების გზების ძიება ხალხის აზრისა და სახელისუფლებო ორგანოებისა თუ პოლიტიკური მაღლის გათვალისწინება-ჩარევით.

სოციალური მედიის ეპოქაში როცა ადამიანების დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიღების პირველწყარო სწორედაც რომ სოციალური მედია, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებითაც ყურადღების გამახვილება.

როგორც აღვნიშნეთ, ტელევიზია მნიშვნელოვან წილად უნდა წარმოდგეს შემეცნებითი გადაცემებითაც, რაც ხელს უწყობს ადამიანების ცნობიერების ჩამოყალიბება-ამაღლებას. ამ მიმართულებით დოკუმენტური ფილმების მოზადება დიდ როლს ითამაშებს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის სწორად შესწავლასა და გაგებაში.

თანამედროვე ეპოქაში როდესაც ქვეყანა იმყოფება ჰიბრიდული ომის პირობებში, ტელევიზიამ უნდა იკისროს ასევე პროპაგანდისტული იარაღის ფუნქციაც, რადგანაც საინფორმაციო ომის მოგება მეტწილად განაპირობებს ქვეყნის მდგომარეობას საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება და ევროინტეგრაცია ჩვენი საზოგადოების ურყევი ნებაა, ამ მიმართულებითაც მეტი სწორი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია რადგანაც სწორედ ევროინტეგრაციის საწინააღმდეგოდ აქტიურად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში რუსული სახლმწიფოს პროპაგანდა და ეს პროპაგანდაც დასამარცხებელია.

ტელევიზიამ ვინაიდან იგი გახლავთ საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხშირად უნდა გადადგას ნაბიჯები და გააშუქოს ისეთი თემებიც, რომელიც შესაძლოა არაპოპულარული იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია საზოგადოების გარკვეული სეგმეტისათვის, ვინაიდან აჭარის ტელერადიო მაუწყებელი არის საზოგადოებრივი მაუწყებელი და ეკუთვნის საქართვლოს ყველა მოქალაქეს.

თანამედროვე ეპოქაში, ობიექტურმა ტელევიზიამ გარკვეულ წილად ასევე უნდა იკისროს ადამიანის უფლებათა დამცველის როლიც. უმცირესობების უფლებათა დამცველის როლიც და სწორედ ამ მიმართულებებით აუცილებელია უურნალისტური გამოძიებები და ამ გამოძიებების ობიექტური შედეგების საზოგადოებისათვის მიწოდება.

აჭარის ტელერადიო არხი უნდა იყოს ხიდი წარსულსა და მომავალს შორის (რაც უნდა

აღინიშნოს - დამაკმაყოფილებლად გამოდის დღეისთვის) ამიტომაც პროგრამებს უნდა ჰქონდეს მრავალსახეობა, მიზნობრიობა, განსახილველი თემების მრავალფეროვნება, პროპაგანდისტულ, საგანმანათლებლო ეროვნული ნიშნის ტოლერანტობის და სხვა საჭიროობრივ საკითხების ხედვები და გადაჭრის გზები და ა.შ.

მაგალითად საგანმანათლებლო შემეცნებითი გადაცემა (პორობითად თოქ-შოუ 05,,ან 1 საათი პროგრამა) დარგობრივ ეკოლოგიასა და აგრარულ საკითხებზე, სადაც პრობლემებია მსოფლიოში და ომელიც ამ კუთხით აქვს ქვეყანას და მათ შორის აჭარას, სადაც გაშუქდება ყველა საჭიროობრივ პრობლემები, ასევე ამ კუთხით მიღწეული წარმატებები, სახელმწიფო პროგრამები, არსებული ჩავარდნები და ა.შ. აქ წარმოჩდებიან ინიციატივიანი პირები, სახელმწიფო წარმომადგენლები და ამ ფორმატის გადაცემები იქნება პროპაგანდისტული სახელმწიფო პროგრამების, ნოვაციური წინადადებების აღნუსხვა, სოც-კულურა, დაინტერესება პიროვნებებისა თუნდაც წარმოჩნდასათვის მეცნიერულ ან ბიზნეს ინტერესებისათვის და ტელევიზიას ექნება ხალხის მაჯისცემაზე კონტროლი შემდეგი პროგრამების შექმნისათვის. მსგავსი გადაცემების დახვეწა განათლების, კულტურის, მეცნიერების და ჯანდაცვასა პროგრამებზე, სიახლეებზე ტურიზმსა და მის სახეებზე, დარგების მიხედვით პროფესიონალი თანაწამყვანების მოწვევა.... და სხვა ამ გარდაქმნების დიდაქტიკოსად უნდა მოევლინოს მაყურებელს სფეროების მიხედვით ტელევიზია და რადიო.

აღნიშნული ცივლური გადაცემების გარდა უნდა მზადდებოდეს ცალკეული სპეციალური გადაცამები ქვეყანაში და მსოფლიოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე (მაგალითად ისეთი როგორიც აქვს ტ. პალიტრანიუსს)

სპეციალური პროგრამები რომელიც გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ისტორიის მნიშვნელოვან თარიღებს, რამაც ჩვენამდის მოიტანა ეროვნული თვითშეგნება და მყოფადობა რასაც უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს. აღნიშნულ საკითხებზე უნდა ცხადდებოდეს კონკურსები საუკეთესო სიუკურებისათვის?!

მოკლედ აჭარის ტელერადიო მაუწყებლობისათვის აუცილებლად მიმაჩნია (რაც დღეისათვის მეტნაკლებად აქვს, მისი გაუმჯობესობისათვის) შემდეგი.

--დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ფაქტების შეუფლებამობა ყველა დროის ერთ-ერთი მთავარი ნიშა იყო და იქნება ამისთვის უმნიშვნელოვანესია სარედაქციო დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს და დაცული პოლიტიკური , კომერციული თუ სხვა სახის გავლენებისაგან (ეს საზმაუწყებელია)

----ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, ფორმალური კი არა, არამედ გამოხატული საქმიანობის სულისკვეთებით. ამისთვის საჭიროა ქმედითი საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნაც.

-----ხედვებზე და ინტერესებზე დაფუძნებული, რაც მოიცავს- მაქსიმალურად წარმოაჩინოს საზოგადოების (ჩვენი კუთხის) სხვადასხვა ჯგუფების ინტერესი, ორიენტირებული იყოს სამოქალაქო საზოგადოების (რაც მაღზე დაბალია) განვითარების ხელშეწყობისკენ და სწორად უნდა ახდენდეს ორიენტირებასა და საჭიროებების ანალიზს, თემატური გადაცემები, სარედაქციო პოლიტიკა უნდა იყოს იარაღი საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და ინტერესების წარმოსაჩენად ამ გზაზე სახელმწიფოს როლზე, მის მიერ გატარებული პოლიტიკის ხალხამდე მიტანა პროპაგანდა (რაც არ ხდება), ხოლო ხალხის ტკივილის პირიქით ხელისუფლებამდე მიტანა. მაუწყებელი ამ ღირებულებებით უნდა იყოს უალტერნატივო.

ამისთვის საჭიროა ღრმა თანამშრომლობა როგორც საერთაშორისო, სამოქალაქო ასევე

სხვადასხვა დარგობრივ უწყებასთან, ნებისმიერი ასეთი თანამშრომლობა მაუწყებლის ინტერესთა ჯგუფებთან კომუნიკაციის სფეროში უნდა იყოს ეფექტურობისა და ხარჯეფების მომცემი და მაყურებლის მომზიდველი.

----აჭარის რადიო მაუწყებლობა ვინაიდან არის საზოგადოებრივი იგი უნდა ასახავდეს საზოგადოებაში არსებული ყველა პოლიტიკური ჯგუფის (და არა ერთის) საზოგადოების ყველა წევრის (ყველა ნიშნით) ინტერესებს და მის სამოქალაქო ინტეგრირებას. ეს უნდა იყოს მრავალფეროვანი (მაგრამ წითელ ხაზად უნდა გასდევდეს ეროვნულობა და პატრიოტიზმი) პლურალისტური და ჰუმანური პრინციპების მატარებელი

----- ხარისხი და სანდოობა უნდა მოიპოვოს სიმართლის, მიუკერძებლოებლობის არსებული გარემოს ნათელი წარმოჩინებით და აქედან გამოსავლის სწორი და სამართლიანი გზების ჩვენებაზე მსჯელობით, მოიპოვოს რეიტინგი და არა მანიპულირებებით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული კარგი პრაქტიკა თუნდაც არქაული და ფართოდ გავუღოთ კარი სამოქალაქო სექტორს, განსაკუთრებით მედიის თემებზე მომუშავეთ.

---- არ უნდა გვეშინოდეს ასევე ინოვაციების ჯერ არ დანერგილი პრაქტიკის -მაუწყებელმა მაყურებელს და მსმენელს უნდა შესთავაზოს თამამი (თუნდაც ჯერჯერობით წამგებიანად მიუღებელი, მაგრამ საზოგადოებაში არსებული) პროდუქტები. რისი უფლებაც აქვს კომერციულ მაუწყებელებს. ასევე უნდა დაინერგოს (თვეში ერთხელ) არარეიტინგული, მაგრამ ინოვაციური და საავტორო პროგრამები, რომელიც ცალკეულ ინტერესთა ჯგუფებისათვის იქნება საინტერესო.

ტელერადიო მაუწყებელმა უნდა იზრუნოს იმაზე რომ მისი კარგი საინტერესო, საავტორო პროგრამები უნდა იყოს პოპულარულიც ამისთვის უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებზე ორიენტირებული მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნა დაახლოებით შემდეგი თემების:

- მიმდინარე მოვლენების ფაქტებით გაშუქება..
- შემეცნებითი გადაცემები მეცნიერებაზე, კულტურაზე, გარემოს დაცვაზე, ტურიზმზე, კონომიკაზე, ახალგაზრდობაზე, პენსიონერებსა თუ გენდერულ თანასწორობაზე, ტოლერანტობაზე.
- უნდა დაინერგოს და ხელი შეუწყოს უურნალისტურ გამოძიებებს.
- მუნიციპალიტეტების საათი ალბათ თვეში 1-ჯერ.
- დაბალანსებული ინფორმაციული გამუქება ეთნიკურ და სხვა სახის უმცირესობებზე.
- პოლიტიკური თოქ შოუ მინიმუმ კვირაში ერთი გადაცემა.
- გასართობი პროგრამები, სპორტი, მუსიკალური ღონისძიებები და ასე შემდეგ-უპრიანია შაბათი კვირა
- საბავშვო გადაცემები (შაბათი კვირის ბადე)
- სატეველიზიო პროექტები რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოჩენის მიზნით(მუზეუმები, ბუნება და ა.შ.
- სტარტაპელი სამოტივაციო გადაცემები მეწარმეების და ბიზნესის მიმართ (მაგ> კარგი იყო ლ. თავართქილამეზე გადაცემა)

- დოკუმენტური ფილმები.
- კინოს განყოფილება და კინოდოკუმენტალისტების არქივის წამოწევა, ახალი დოკუმენტური ფილმების მომზადება

შემოდებულ იქნას კვირაში ერთხელ (დაახლოებით 20 წუთამდე) ბლოგერის საათი თემატიკით: ევროინტეგრაციის მნიშვნელობა, ოკუპაცია და საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

ყოველივე ზემოთთქმული განუხორციელებელ იდეად დარჩება არასწორი მენეჯმენტის შემთხვევაში. სწორად გათვლილი ფინანსები, კვლევის საფუძველზე წინასწარ შედგენილი და გახარჯული ბიუჯეტი, საზოგადოებრივი აზრის მუდმივი მონიტორინგი და მის მიხედვით დაანონსებული და გატარებული რეორგანიზაცია იქნება ტელერადიომაუწყებლის წარმატების უტყუარი გარანტი.

რადიო ტელევიზია ფინანსური კუთხითაც უნდა ნერგავდეს ეფექტურ ღონისძიებებს (მაქვს ჩემი მოსაზრებები) სხვადასხვა სახის კონკურსების მეშვეობით. და ბოლოს რადიო ტელევიზია მუდმივ შემოქმედებით, დინამიურ განვითარებით უნდა იყოს დროის შემგრძნები და არა დღეის მოცემულობის სტატისტიკა ამიტომ ჩვენც ამ ხედვების დინამიურ მიებით უნდა ხელი შევუწყოთ მის აქტიურ მუშაობას ხარისხიანი და ყურებადი პროდუქციის წარმოებაში.